1. ოთარ გრიგოლიამ (დაბადებული 22.04.1936წ პ/მ № დ0157702 პირადი № 01026006360 გაცემული 09.06.1997წ მცხოვრები თბილისი იოსელიანის ქ№37)
2. იური მაღლაკელიძემ (დაბადებული 21.11.1949წ პ/მ№ ა0730310 პირადი № 01011059838 გაცემული 14.06.2005წ მცხოვრები თბილისი ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №8 ბინა №91)
3. ევგენი საბაშვილმა (დაბადებული 15.056.1958წ. პ/მ №დ-0316048 პირადი №01024031358 გაცემული 06.04.2000წ. მცხოვრები საირმის ქ.№2 ბინა №20)
4. ზაალ ჩაჩუამ (დაბადებული 29.09.1955წ. პ/მ №დ-0067647 პირადი №01024006413 გაცემული 22.07.1995წ. მცხოვრებიქ. თბილისი ლუქსემბურგის №7)
5. თალინა ჩხაპელიამ (დაბადებული 01.06.1955წ. პ/მ №ე-0181935 პირადი 362005025567 გაცემული 05.03.2004წ. მცხოვრები ქ. ოჩამჩირე სოხუმის გზატკეცილი №146 დროებით მცხოვრები ქ. თბილისი ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. №33 ბინა 16)
6. იუზა კობერიძე (დაბადებული 09.08.1958წ პ/მ№ დ0726007 პირადი № 01001048191 გაცემული 24.06.2005წ. მცხოვრები თბილისი გლდანი III მ/რ კორპუსი № 85 ბინა №6
7. კახაბერ ესართიამ (დაბადებული 02.09.1976წ პ/მ№ გ0581136 პირადი №29001003312 მცხოვრები თბილისი ნავთლუღის 6 კორპუსი №1 ბინა №7.
8. ციცინო ახობაძე (დაბადებული 16.07.1987წ. პასპორტი №1077296 პირადი №620005025566 გაცემული 17.08.2004წ მცხვრები ქ. ოჩამჩირე სოხუმის გზატკეცილი №146 დროებით მცხოვრები ქ. თბილისი ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. №33 ბინა 16)

მათ განაცხადეს, რომ სურთ ერთობლივი საქმიანობის (ინდმენაშენეთა) ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007"-ის დაფუძნების მიზნით ამხანაგობის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შედგენა და მისი დადასტურება.

მხარეებმა განაცხადეს, რომ:

ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე არიან მიწის "მესაკუთრე წევრები."

შპს "ჯორჯიან ბილდრი"- "ინვესტორი წევრი."

ციცინო ახობაძე "წევრი"

მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა, რის შემდეგაც შევადგინე ხელშეკრულება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის შექმნის

წესახებ. მხარეებს წავუკითხე იგი, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მხარეებმა განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება და ამხანაგობის შექმნა სწორედ იმ პირობებით რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს დანართებითურთ წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს მას ხელი;

ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) შესახებ

ორიათას შვიდი წლის ხუთი ივლისი, **ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე** როგორც ამხანაგობის "მიწის მესაკუთრე" წევრები;

შპს "ჯორჯიან ბილდრ"– ი – "ინვესტორი წევრი".

"წევრი" – ციცინო ახობაძე

წინამდებარე ხელშეკრულებით ადასტურებენ ნებას ერთობლივად იმოქმედონ საერთო მიზნის მისაღწევად ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით იურიდიული პირის შეუქმნელად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

მუხლი 1. ამხანაგობის სახლწოდება და სტატუსი

1.1 ამხანაგობის სახელწოდებაა – ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007"

1.2 ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსდება – ქ.თბილისში ქავთარაძის ქ.№1.

1.3 ამხანაგობის ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.№1

1.4 ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, იგი შექმნილია წინამდებარე აქტის მე-2 მუხლით დადგენილი მიზნით;

1.5 ამხანაგობას შეიძლება ჰქონდეს საბანკო ანგარიშები, მათ შორის სავლუტო ანგარიში;

1.6 ამხანაგობას აქვს თავისი ბეჭედი;

1.7 ამხანაგობა აღირიცხება გადასახადის გადამხდელად კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 2. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სახეობა და მიზანი.

2.1 ამხანაგობის დამფუძნებელთა მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კორპუსის ასაშენებლად (შემდგომში საცხოვრებელი სახლი). საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: ქ. თბილისი ქავთარაძის ქ.№1

2.2 ამხანაგობის მიზანია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აშენებული შენობის განაწილება ამხანაგობის წევრებს შორის და ამხანაგობის წევრების მიერ გამოყენება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. **ამხანაგობის წევრების შენატანი**

3.1 ამხანაგობის **"მშენებელი-ინვესტორი წევრები"** ამხანაგობაში შენატანის სახით კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყოს ცხრა სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება ფართით 3500 კვ.მ. და მისი ექსპლუატაციაში მიღება მშენებლობის ნებართვის აღებიდან 18 თვის (თვრამეტი) განმავლობაში. **იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის ნებართვის აღების და პროექტის დამტკიცების შემდეგ გაიზრდება მშენებარე კორპუსის ფართობი წილობრივად გაიზრდება "მიწის მესაკუთრეთა" წილი აღნიშნულ კორპუსში.**

3.2 "მიწის მესაკუთრე" წევრები კისრულობენ ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანონ მიწის ნაკვეთი მდებარე **ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.№1** ფართობით 907 კვ.მ.

3.3 ჩასატარებელი სამუშაოები შეადგენენ შემდეგს:

3.4 წინასაპროექტო სამუშაოების განხორციელებას, რაც მოიცავს ტოპოგადაღებასა და გეოლოგიურ სამუშაოებს; მშენებლობის პასპორტის მიღებას, რაც მოიცვს არქიტექტურულ გეგმარებით დავალებასა და ტექნიკურ პირობებს; საპროექტო სამუშაოების შესრულებას, რაც მიოცავს პროექტისა და საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის დადგენილი წესით შეთანხმებას.

3.6. შენობის აშენებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნებართვისა და დოკუმენტის მიღებას, შემუშავებას, შეთანხმებას და/ან დამტკიცებას, თუნდაც ეს არ იყოს მითითებული ამ ხელშეკრულების 3.1 "ა" ქვეპუნქტში;

3.7 შენობის მშენებლობის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) მთლიანი პროცესის სრულ დაფინანსებას;

3.8 შენობის მშენებლობის სრულ უზრუნველყოფას მასალით, მოწყობილობებითა და მუშახელით, აგრეთვე, სხვა ობიექტებითა და ინვენტარით;

3.9 შენობის კარკასის დამთავრებას სათანადო გადახურვით და ფასადის მოპირკეთებით, ფანჯრების დამონტაჟებას.

3.10 შენობის შიგნით კანალიზაციისა და სასმელი წყლის მილდგარების მონტაჟს, შიგა გაყვანილობის გარეშე;

3.11 კიბის უჯრედში სამუშაოების მთლიანად დამთავრებას.

3.12 ლიფტის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას და დადგენილი წესის შესაბამისად მის ექსპლუატაციაში ჩაბარებას;

3.13 გარე კომუნიკაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების მთლიანად დამთავრებას, კერძოდ, კანალიზაციისა და სასმელი წყლის მილგაყვანილობების, ელ.მომარაგების, მისასვლელი გზის, შენობის შემონაკირწყლის და სახლისწინა მოედნების მთლიანად დამთავრებას;

3.14 შენობის ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფას;

3.15 ტიხრების ამოყვანას და შესასვლელი რკინის კარების დამონტაჟებას, ხოლო მესაკუთრე წევრებისათვის დამატებით სპილენძის ელ.გაყვანილოვას, ცენტრალურ მაგისტრალებში კომუნიკაციების ჩართვას, მეტალო - პლასტიკის კარ-ფანჯრების დამონტაჟებას გარე პერიმეტრზე, ცემენტის ხსნარით იატაკის მოჭიმვას, ტიხრების ამოყვანას და შიდა კედლების შელესვას.

3.16 ყველა ქმედების განხორციელებას, რაც საკმარისის შენობის აშენების და მისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებისთვის. **"ინვესტორი წევრი"-ს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შუსრულებლობის შემთხვევაში "მესაკუთრე წევრების" ინიციატივით შექმნება კომპეტენტური კომისია, რომელიც განსაზღვრავს იმ პერიოდისათვის "ინვესტორი წევრის" მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობას და ღირებულებას, როლის შემდეგაც "მესაკუთრე წევრები" აუქმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და მშენებლობას გააგრძელებენ თავიანთი ძალებით ან სხვა**

ინვესტორის მეშვეობით, ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ და შენობის ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ პირვანდელ ინვესტორს აუნაზღაურებენ დახარჯულ თანხას.

3.17 "მესაკუთრე წევრები" კისრულობენ ვალდებულებას ამხანაგობაში შესატანის სახით შეიტანონ **ქ. თბილისი ქავთარაძის ქ.№1 მდებარე** ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით **907 კვ.მ.**

ოთარ გრიგოლიას, იური მაღლაკელიძის, თალინა ჩხაპელიას, ევგენი საბაშვილის, ზაალ ჩაჩუას, იუზა კობერიძის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს: ქ. თბილისში ქავთარაძის ქ№1-ში მდებარე 907 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №74272/2007 – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №1/14/3/38/23 გაც. 20.06.2007წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ;

აღნიშნულ უძრავ ქონებებს ყადაღა არ ადევს.

3.18 "მესაკუთრე წევრები" კისრულობენ ვალდებულებას არ შეაფერხონ სამშენებლო სამუშაოები.

3.19 ამხანაგობის "წევრი" ვალდებულებას იღებენ **ამხანაგობაში ფულადი/ნივთობრივი შენატანი შეიტანონ იმ ოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება ამხანაგობის მიზნების მისაღწევად – ამხანაგობის მიერ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ამხანაგობის ამ წევრებისათვის განკუთვნილი ფართების პროპორციულად, მშენებლობის გრაფიკის შესაბამისად.**

3.20 ამხანაგობის მონაწილეთა შენატანები (მათ შორის, მიწის ნაკვეთი) წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გახდება ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება.

3.21 ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა, ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაღუპვის (განადგურების) შემთხვევაში.

3.22 ამხანაგობის თითოეული მონაწილის შენატანის ოდენობა, რაც დადგენილია წინამდებარე აქტით, არ შეიძლება გაიზარდოს, ან შემცირდეს ამ მონაწილის თანხმობის გარეშე.

მუხლი 4. ამხანაგობის მართვა

ამხანაგობის მართვის ორგანოებია:
ა) მონაწილეთა საერთო კრება
ბ) ამხანაგობის გამგეობა
გ) ამხანაგობის თავმჯდომარე

მონაწილეთა საერთო კრება. გამგეობა. თავმჯდომარე.

4.1 ამხანაგობის მართვას ახორციელებს მონაწილეთა საერთო კრება.

4.2 კრების მოწვევა შესაძლებელია ერთ-ერთი მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე. მოწვევა უნდა განხორციელდეს სხვა მონაწილეებისათვის 3 დღით ადრე მოსაწვევის გაგზავნით. მოსაწვევში მითითებული უნდა იყოს: კრების ჩატარების ადგილი და თარიღი, განსახილველი საკითხები.

4.3 კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ამხანაგობის მონაწილეთა 2/3 –ზე მეტი წევრი.

4.4 მონაწილეთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხებზე, რომელთა განხილვასაც ის ჩათვლის თავის კომპეტენციაში. კრების კომპეტენციას აუცილებლად განეკუთვნება საკითხები:

4.4.1 ამხანაგობის ანგარიშების შემოწმება და მიღება. ასევე ფინანსური შედეგების განაწილება.

4.4.2 ამხანაგობის გამგეობის, ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა და გადაყენება.

4.4.3 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება.

4.4.4 ხელშეკრულების მოშლა.

4.4.5 ერთ-ერთი მონაწილის მიერ თავისი წილის მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისების საკითხის გაფორმება

4.4.6 ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა.

4.4.7 ექსპლუატაციაში ჯერ კიდევ მიუღებელ, საცხოვრებელ სახლში, იმ ბინებზე უფლების გასხვისება ან ვალდებულებით დატვირთვა, რომელიც იქნება ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება. ეს წესი არ ეხება უფლებას იმ ბინებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს მონაწილეთა ინდივიდუალურ საკუთრებას და რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში.

4.4.8 გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საკითხებზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის და ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს ამხანაგობის მონაწილეთა კრების კომპეტენციას.

4.5 მონაწილეები გადაწყვეტილებას იღებენ წევრების ხმათა უმრავლესობით. ერთ მონაწილეს აქვს ერთი ხმა მიუხედავად მისი წილისა.

4.6 მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

4.7 ამხანაგობის კრებებს შორის პერიოდში, ამხანაგობის საქმიანობას ხელმძღვანელობს ამხანაგობის გამგეობა.

4.8 გამგეობა შედგება ხუთი წევრისაგან, გამგეობის შემადგენლობაში შედიან ამხანაგობის თავმჯდომარე და მონაწილეთა კრების მიერ არჩეული წევრები.

4.9 გამგების სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა.

4.10 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის სამი წევრი.

4.11 გამგეობაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

4.12 გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

4.12.1 ამხანაგობის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში წევრების ინდივიდუალური საკუთრების განსაზღვრა.

4.12.2 სესხებისა და კრედიტების საკითხების მომზადება და საერთო კრებაზე განხილვა-დამტკიცება.

4.13 მშენებლობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

4.14 ამხანაგობის გამგეობაში არჩეულ არიან: თალინა ჩხაპელია, კახაბერ ესრთია იუზა კობერიძე, ციცინო ახობაძე.

4.15 ამხანაგობის თავმჯდომარე: თალინა ჩხაპელია

4.16 მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება თავმჯდომარე.

4.17 ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით. ამასთანავე, ამხანაგობის თავმჯდომარე მხოლოდ ამხანაგობის გამგეობის თანხმობის საფუძველზე დებს შემდეგ გარიგებებს:

4.17.1 ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა.

4.17.2 სესხებისა და კრედიტების აღება.

4.18 ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარმოებაზე.

4.19 ამხანაგობის თავმჯდომარესთან ინახება ამხანაგობის ბეჭედი, რომლითაც თავმჯდომარე ადასტურებს ამხანაგობის სახელით გაცემულ დოკუმენტებს.

4.20 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისთვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის.

4.21 ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

4.22 ამხანაგობის წევრები უფლებამოსილები არიან მოითხოვონ თავმჯდომარისგან სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4.23 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ყოველ სამ თვეში ერთხელ (შესაბამისი თვის 1-დან 10 რიცხვამდე) თავმჯდომარემ უნდა წარადგინოს ანგარიში ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით ამხანაგობის საერთო კრებას. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის მონაწილეებს.

4.24 ამხანაგობის თავმჯდომარეს მონაწილეთა მიერ შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით, იმ შემთხვევაში თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4.25 ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განუხორციელებლობის ან მისი გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

4.26 <u>ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია თალინა ჩხაპელია</u>

4.27 ამხანაგობის საფინანსო საქმიანობას ხელმძღვანელობს ამხანაგობის ხაზინადარი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

4.28 <u>ამხანაგობის ხაზინადარად დანიშნულია – კახაბერ ესრთია</u>

მუხლი 5. ამხანაგობიდან გასვლა

5.1. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

5.2. ამხანაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე წერილობით აცნობოს ამხანაგობის გამგეობას.

5.3. ამხანაგობიდან ერთ-ერთი დამფუძნებლის (მონაწილის) გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მონაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

5.4. გამსვლელ დამფუძნებელს (მონაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

5.5. თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მონაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მონაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადა (ვადები) შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში ასეთი გარემოებების არსებობის პერიოდით. ფორს-მაჟორულ გარემოებად მიიჩნევა ისეთი სიტუაციის არსებობა, რომლის დროსაც ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელი აღმოჩნდება და ასეთი სიტუაციის წარმოშობა არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ იქნება დაკავშირებული მხარეთა ქმედებებთან.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება მშენებლობის შეჩერება, შეწყვეტა ანდა მისი წარმოების სხვა ფორმით შეფერხება სასამართლოს გადაწყვეტილების ან/და განჩინების, აგრეთვე რომელიმე კომპეტენტური დაწესებულებების, ორგანიზაციის ან ორგანოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. დასახელებული წესი არ მოქმედებს, თუკი მშენებლობის შეწყვეტა, შეფერხება ან/და შეჩერება გამოწვეული იქნება "ინვესტორი წევრის" ბრალეული ქმედებით.

მუხლი 7. ქონებისა და ზიანის განაწილება

7.1 ამხანაგობის საქმიანობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია ამხანაგობის ის წევრი, რომლის ბრალეული ქმედების შედეგადაც წარმოიშვა ზიანი.

7.2 ამხანაგობის მიერ მიღებული ქონება განაწილდება ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით შექმნილი ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ვადა განისაზღვრება "მშენებელ-ინვესტორის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და ქონების მე-10 მუხლის თანახმად განაწილებისთანავე.

8.2 ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას არ გამოიწვევს ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება, რომელიმე მონაწილის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა ან/და რომელიმე მონაწილის გაკოტრება.

8.3 ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ქონების განაწილება

9.1 მხარეთა შორის ქონება განაწილდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

9.2 "მესაკუთრეები" ამ ხელშეკრულების თანახმად აშენებულ სახლში მიიღებენ 908 კვ.მ ფართობს აქედან 120 კვ.მ კომერციულ ფართობ, ხოლო დანარჩენ 788 კვ. საცხოვრებელ ფართს.

1. ოთარ გრიგოლია 156.6 კვ.მ, II სართული ერთი ავტოსადგომი
2. იური მაღლაკელიძე 78.8 კვ.მ, III სართული ერთი ავტოსადგომი
3. თალინა ჩხაპელია 156.6 კვ.მ VIII სართული ერთი ავტოსადგომი
4. ევგენი საბაშვილი 156.6 კვ.მ II სართული ერთი ავტოსადგომი
5. ზაალ ჩაჩუა 156.6 კვ.მ I სართული ერთი ავტოსადგომი
6. იუზა კობერიძე 78.8 კვ.მ III სართული ერთი ავტოსადგომი

9.3 "მესაკუთრეებს" პუნქტით გათვალისწინებული ფართი პირდაპირ საკუთრებაში გადაეცემათ მთლიანად შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

9.4 იმ შემთხვევაში, თუკი ამხანაგობის ორი ან მეტი წევრი გამოხატავს ერთი და იგივე ბინის მიღების ნებას და ამისათვის ასეთ წევრებს ექნებათ თანაბარმნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ საკითხი გადაწყდება კენჭისყრით (კენჭისყრის ორგანიზებას ახდენს თავმჯდომარე). 9.2 პუნქტის შესაბამისად **"მესაკუთრებისათვის"** განკუთვნილი ფართის მათ სახელზე გაფორმებისა და რეგისტრაციის ხარჯები დაეკისრება **"ინვესტორ-წევრს".**

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებები უძრავ ქონებაზე ექვემდებარება საჯარო რეესტრში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში) რეგისტრაციას.

9.6 "მესაკუთრეები"აღიარებენ, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად ასაშენებელ შენობაში არ ეკუთვნით რაიმე ფართი, გარდა 9.2 პუნქტში მითითებულისა.

9.7 "ინვესტორ წევრი"-ს და "წევრი"-ს ფართი განისაზღვრება "ინვესტორ წევრი"-ს მიერ მშენებლობის ნებართვის აღების და მშენებლობის პროექტის დამტკიცების შემდეგ.

10. ბინების განაწილების წესი

10.1 ამხანაგობის გამგეობა ვალდებულია სააშშნებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ სამუშაოს დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების და არასაცხოვრებელი ფართების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის ნომერი, ბინის განთავსების სართული (საჭიროების შემთხვევაში სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართი.

10.2 ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სააშენებლო დოკუმეტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში ხორციელდება მშენებარე სახლში თითოეული ასაშენებელი ბინის ან არასაცხოვრებელი ფართის მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაცია და კეთდება შესაბამისი წინასწარი ჩანაწერი.

10.3 საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

11. მონაწილეთა პასუხისმგებლობა

11.1 ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე "ამხანაგობის" ხელშეკრულებას და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

11.2 "ამხანაგობის", ყოველი წევრი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში და ოდენობით განახორციელოს დათქმული შენატანები ამხანაგობაში.

11.3 "ამხანაგობის" თითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის გარე ფასადს.

12. ამხანაგობიდან გასვლის წესი

12.1 თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

12.2 ამხანაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე წერილობით აცნობოს ამხანაგობის გამგეობას.

12.3 ამხანაგობიდან ერთ-ერთი დამფუძნებლის (მონაწილის) გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მონაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

12.4 გამსვლელ დამფუძნებელს (მონაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

12.5 თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მონაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მონაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

13. ამხანაგობის ვადა

13.1 ამხანაგობა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

13.2 ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

13.2.1 თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი.

13.2.2 ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით.

13.3 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

13.4 ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება) მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

14. ამხანაგობის ლიკვიდაციის წესი

14.1 ამხანაგობის ლიკვიდაციისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები და შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა.

14.2 ამხანაგობის საქმიანობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მხარეთა შორის მათი წილების პროპორციულად.

15. ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

15.1 ამხანაგობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია, ამხანაგობამ ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოოს ამხანაგობის წიგნი, რომელიც უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომრილი. ზონრის შეკვრის ადგილზე ხელი უნდა მოაწეროს წიგნის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა.

15.2 ამხანაგობის წიგნის წარმოების მიზანია:

15.2.1 ამხანაგობის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;

15.2.2 ამხანაგობის წევრთა მიერ ამხანაგობაში შენატანების შეტანის მდგომარეობის (შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებების) ზუსტი აღრიცხვა;

15.2.3 ამხანაგობის საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ამხანაგობის წევრების მიერ.

15.2.4 წინამდებარე აქტში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, ამხანაგობის წევრთა ცვლილებების ასახვა;

15.2.5 ამხანაგობის მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი ბინების მიღებაზე უფლებამოსილი ამხანაგობის წევრების ზუსტი აღრიცხვა და ორმაგი გარიგების შესაძლებლობის გამორიცხვა.

15.3 ამხანაგობის წიგნს ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოებს ამხანაგობის თავმჯდომარე. იგი პასუხს აგებს ამხანაგობის წიგნის სწორი და ზუსტი წარმოების უზრუნველყოფაზე.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან დაექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას. მხანაგობის წევრების მიერ გარიგების გაცხადებული ღირებულებაა სამიმილიონი ლარი

16.2 სანოტარო მომსახურების ხარჯები (გამოთვლილია ამხანაგობის მონაწილეების მიერ გაცხადუბილი გარიგების ღირებულების საფუძველზე გადახდილია ორიათასექვსასსამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი.

16.3 წინამდებარე აქტი შედგენილია ათ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ოთხი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი ინახება ქ. თბილისის ნოტარიუსის მ. ფარჯიკიას სანოტარო არქივში, რომელსაც თან ერთვის:

- შპს "ჯორჯიან ბიდლერს"-ის წესდების ასლი
- ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის, მიერ 05.07.2007წ. გაცემული ამონაწერი შპს "ჯორჯიან ბიდლერს"-ის სამეწრმეო რეესტრიდან;.
- 2007 წლის შპს "ჯორჯიან ბიდლერს"-ის პარტნიორთა კრების ოქმი № დამოწმებული 05.07. 2007წ. ნოტარიუს მ. ფარჯიკიას მიერ რესტრის №1-7327
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უფლების რეგისტრაციის №74272/2007 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 1/14/3/38/23 გაც. 20.06.2007წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ;

მე, ნოტარიუსმა მერაბ ფარჯიკიამ, ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებმა (მონაწილეებმა) წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ იწონებენ მას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

<u>ამხანაგობის წევრები:</u>

ოთარ გრიგოლია

იური მაღლაკელიძე

თალინა ჩხაპელია

ევგენი საბაშვილი

ზაალ ჩაჩუა

იუზა კობერიძე

შპს "ჯორჯიან ბილდერს"-ის დამფუძნებელი:

კახაბერ ესართია

„წევრი“ ციცინო ახობაძე

ნოტარიუსი

მერაბ ფარჯიკია

სანოტარო აქტი

რეესტრში სარეგისტრაციო № 1-7336

საქართველო

ორიათას შვიდი წლის ხუთ ივლისს, მე ნოტარიუს მერაბ ფარჯიკიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მომმართეს მოქალაქეებმა: ოთარ გრიგოლიამ, იური მაღლაკელიძემ, თალინა ჩხაპელიამ, ევგენი საბაშვილმა, ზაალ ჩაჩუამ, იუზა კობერიძემ, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთმა დამფუძნებლმა კახაბერ ესართიამ და ციცინო ახობაძემ მათ მოითხოვეს ამხანაგობის დაფუძნების შესახებ ოქმის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად

1. ოთარ გრიგოლიამ (დაბადებული 22.04.1936წ პ/მ № დ0157702 პირადი № 01026006360 გაცემული 09.06.1997წ მცხოვრები თბილისი იოსელიანის ქ№37)
2. იური მაღლაკელიძემ (დაბადებული 21.11.1949წ პ/მ№ ა0730310 პირადი № 01011059838 გაცემული 14.06.2005წ მცხოვრები თბილისი ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №8 ბინა №91)
3. ევგენი საბაშვილმა (დაბადებული 15.056.1958წ. პ/მ №დ-0316048 პირადი №01024031358 გაცემული 06.04.2000წ. მცხოვრები საირმის ქ.№2 ბინა №20)
4. ზაალ ჩაჩუამ (დაბადებული 29.09.1955წ. პ/მ №დ-0067647 პირადი №01024006413 გაცემული 22.07.1995წ. მცხოვრებიქ. თბილისი ლუქსემბურგის №7)
5. თალინა ჩხაპელიამ (დაბადებული 01.06.1955წ. პ/მ №ე-0181935 პირადი 362005025567 გაცემული 05.03.2004წ. მცხოვრები ქ. ოჩამჩირე სოხუმის გზატკეცილი №146 დროებით მცხოვრები ქ. თბილისი ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. №33 ბინა 16)
6. იუზა კობერიძე (დაბადებული 09.08.1958წ პ/მ№ დ0726007 პირადი № 01001048191 გაცემული 24.06.2005წ. მცხოვრები თბილისი გლდანი III მ/რ კორპუსი № 85 ბინა №6
7. კახაბერ ესართიამ (დაბადებული 02.09.1976წ პ/მ№ გ0581136 პირადი №29001003312 მცხოვრები თბილისი ნავთლუღის 6 კორპუსი №1 ბინა №7.
8. ციცინო ახობაძე (დაბადებული 16.07.1987წ. პასპორტი №1077296 პირადი №620005025566 გაცემული 17.08.2004წ მცხვრები ქ. ოჩამჩირე სოხუმის გზატკეცილი №146 დროებით მცხოვრები ქ. თბილისი ნუცუბიძის IV მ/რ კორპ. №33 ბინა 16)

მათ განაცხადეს, რომ სურთ ერთობლივი საქმიანობის (ინდმენაშენეთა) ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007"-ის დაფუძნების მიზნით ამხანაგობის დაფუძნების შესახებ ოქმის დადასტურება მათ წაიკითხეს ოქმის შინაარსი და დაადასტურეს, რომ იგი სრულად შეესაბამება მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს შემდეგ ოქმს:

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა
"ქავთარაძის ქ.№1-2007"-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №1

ორიათასორი წლის ხუთ ივლისს შესდგა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთი დამფუძნებლი კახაბერ ესართია და ციცინო ახობაძე კრების თავმჯდომარე: კახაბერ ესართია
დღის წესრიგი:
1. ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ.№1-ში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის ჩამოყალიბება.
2. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა.
მოისმინეს: თალინა ესართიას გამოსვლა, რომელიც შემოვიდა წინადადებით, ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ.№1-ში დაფუძნდეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007" და ააშენონ თანამედროვე ტიპის, ინდივიდუალური, კეთილმოწყობილი მრავალ სართულიანი საცხოვრებელი სახლი (მანსარდით). ასაშენებელი სახლის პროექტი დამუშავებული და შეთანხმებული იქნეს ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან. მანვე აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ.№1--ში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შეიქმნას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთი დამფუძნებლი კახაბერ ესართია და ციცინო ახობაძე წევრები: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთი დამფუძნებლი კახაბერ ესართია და ციცინო ახობაძე
ამხანაგობას ეწოდოს სახელი: ""ქავთარაძის ქ.№1-2007"
აზრი გამოთქვეს: კრების ყველა მონაწილემ.
დაადგინეს: ჩამოყალიბდეს "ქავთარაძის ქ.№1--ში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007" შემდეგი შემადგენლობით: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთი დამფუძნებლი კახაბერ ესართია და ციცინო ახობაძე
ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა: თალინა ჩხაპელია
წევრები: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე, შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერთადერთი დამფუძნებლი კახაბერ ესართია და ციცინო ახობაძე

კრების თავმჯდომარე: კახაბერ ესართია

ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007" თავმჯდომარე: თალინა ჩხაპელია

ამხანაგობა "ქავთარაძის ქ.№1-2007"წევრები:

1) : ოთარ გრიგოლია
2) იური მაღლაკელიძე
3) თალინა ჩხაპელია
4) ევგენი საბაშვილი
5) ზაალ ჩაჩუა
6) იუზა კობერიძე
7) შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის დამფუძნებლი კახაბერ ესართია
8) ციცინო ახობაძე

ნოტარიუსი: მ.ფარჯიკია

შპს „ჯორჯიან ბილდერ"-ის დამფუძნებელის

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი, 2007 წლის ხუთ ივლისი

1) მე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯორჯიან ბილდერ"-ის ერდადაერთმა დამფუძნებელმა გადავწყვიტე მიწის მესაკუთრეებთან ერთად ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება, მისამართზე ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.№1.

კახაბერ ესართია კახაბერ ესართია

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-7327

საქართველო

ორიათასშვიდი წლის ხუთ ივლისს ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა კახაბერ ესართიამ რომლმაც წარმოადგინა შპს "ჯორჯიან ბილდერ"-ის" დამფუძნებლის გადაწყვეტილება და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე კახაბერ ესართიას პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად კახაბერ ესართიამ (დაბადებული 02.09.1976წ პ/მ№ გ0581136 პირადი №29001003312 მცხოვრები თბილისი ნავთლულის 6 კორპუსი №1 ბინა №7) მომმართა მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ ოქმს. გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისავის საზღაურის შესახებ 29-ე მუხლის თანახმად ორი ლარი და პროექტის შედგენის ერთი ლარი



ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/14/3/38/23

საქართველო
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
მიწის (უძრავი ქონების) შესახებ

განაცხადის რეგისტრაციის № 74272/2007 თარიღი 06.06.2007 დანართი.....

ა) საკუთრების განყოფილება

სარეგისტრაციო ზონა თბილისი (დასახელება) 1 (კოდი)

სექტორი ვაკე (დასახელება) 14 (კოდი)

კვარტლის № 3 ნაკვეთის № 38/23

ფართობი (კვ.მ) 907 კვ.მ.

მისამართი ქავთარაძის ქუჩა №1

~~სახელმწიფო~~ / ~~იჯარა~~ / საკუთარი

~~ხრული~~ / შეზღუდული

~~პირველადი რეგისტრაცია~~ / ცვლილება

ნაკვეთის წინა № 38/17

უფლება საერთო საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო–სამეურნეო

ბ) მესაკუთრის განყოფილება

უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი	მესაკუთრე და მისი მისამართი
საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.“ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ 2002 წლის 23 ოქტომბერს გაცემული №23/1738–კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულება, გაფორმებული 2003 წლის 19 სექტემბერს დამოწმებული ნოტარიუსის შ. კაკაურიძის მიერ რეესტრით №1–1957	მიწის ნაკვეთი – ოთარ გრიგოლიას, იური მაღლაკელიძის, თალინა ჩხაპელიას, ევგენი საბაშვილის, ზაალ ჩაჩუას, იუზა კობერიძის საერთო საკუთრება. შენობა–ნაგებობანი საერთო ფართობით 116,98 კვ.მ.–ოთარ გრიგოლიას (დაბ. 22.04.1936წ.), იური მაღლაკელიძის (დაბ.21.11.1949წ.), თალინა ჩხაპელიას (დაბ. 01.07.1955წ.), ევგენი საბაშვილის (დაბ.15.05.1958წ.), ზაალ ჩაჩუას (დაბ.29.09.1955წ.), იუზა კობერიძის (დაბ.09.08.1958წ.) საკუთრება. ნაგებობები №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 – უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე მცხოვრებნი: იოსელიანის ქუჩა №37; ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი №8, ბინა №91; ალ. ყაზბეგის №55*; საირმის ქუჩა №2; გელოვანის ქუჩა №7; გლდანის III მ/რ, კორპუსი №85, ბინა №6

მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი № 1/14/3/38/23

გ) ვალდებულებების განყოფილება

უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი	მოსარგებლე	იჯარა,ქირავნობა, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი
ქირავნობის ხელშეკრულება, გაფორმებული 2004 წლის 20 აპრილს, დამოწმებული ნოტარიუსის მ. ფარჯიკიას მიერ რეესტრით №1-2260.	ყადაღა: არ არის რეგისტრირებული.	ოთარ გრიგოლია, თალინა ჩხაპელია, იური მაღლაკელიძე, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა და იუზა კობერიძე (გამქირავებელი) ქირავნობის ფორმით გადასცემს ქავთარაძის ქუჩა №1-ში მათ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობის საერთო ფართობით 116,98-დან 25 კვ.მ.-ს თენგიზ გაგუას, 2005 წლის 19 აპრილამდე, თვეში 100 (ასი) ლარი ქირის გადახდით.

დ) იპოთეკის (გირავნობა) განყოფილება

უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი	იპოთეკა	გირავნობა
	საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება არ არის დატვირთული.	

მომზადდა : 07.06.2007წ 11.10 საათზე

სახელმწიფო რეგისტრატორი

ხელმოწერა

გაცემის თარიღი 20.06.2007

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

[სა]კადასტრო რუკა

მასშტაბი: 1:500

[მიწის] ნაკვეთი: სარეგისტრაციო № 3756/

[სა]კადასტრო № 1 / 14 / 3 / 38/23
ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი
თბილისი ვაკე

[მი]სამართი: ქავთარაძის ქ. №1

თარიღი: 29.01.04წ.

ფართობი: 907 კვ.მ.

მოსარგებლე: ოთარ გრიგოლია, იური მაღლაკელიძე, თალინა ჩხაპელია, ევგენი საბაშვილი, ზაალ ჩაჩუა, იუზა კობერიძე

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი
რეგისტრატურა №1

კ.შენგელია
სახელმწიფო რეგისტრატორი



№101-04..

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- 1 შენობის ნომერი
- ბორდიური
- ხეები
- არასაცხოვრებელი შენობა
- ფარდული
- ღობე
- საცხოვრებელი შენობა
- სატრანსფორმატორო ჯიხურები და ელექტრო ქვესადგურები
- კედელი
- სამეთვალყურეო ჭები
- უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობა
- სერვიტუტი
- რკინიგზა
- შენებ. შენებადი ნაგებობა
- რეზერ. რეზერვუარი
- მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი



მრავალფუნქციური მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ამხანაგობა
„ქავთარაძის ქუჩა №1-2007“-ის წევრთა კრების ოქმი

ქ.თბილისი 04.11.2014წ.

მრავალფუნქციური მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ამხანაგობა „ქავთარაძის ქუჩა №1-2007“-ის (შემდგომში „ამხანაგობა“) კრება ჩატარდა ქ.თბილისში ქავთარაძის ქუჩა №1-ში მშენებარე ობიექტზე.

კრებას ესწრებოდა „ამხანაბის“ შემდეგი წევრები:

1. ოთარ გრიგოლია (პ/ნ 01026006360)
2. ზაალ ჩაჩუა (პ/ნ 01024006413)
3. იუზა კობერიძე (პ/ნ 01001048191)
4. ციცინო ახობაძე (პ/ნ 62005025566)
5. შოთა გვანცელაძე (პ/ნ 01009004474)
6. გიორგი გვანცელაძე (პ/ნ 01009016074)
7. მანანა გელაზანია (პ/ნ 01009006345) წარმომადგენელი მაია მეძველიასი (პ/ნ 0101000446)
8. იური მაღლაკელიძე (პ/ნ 01011059838)
9. მარინა პოპიაშვილი (პ/ნ 01002029329)

კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა შოთა გვანცელაძე, რომელმაც წარმოადგინა დღის წესრიგი. კერძოდ; „ამხანაგობის“ თავჯდომარეს ქალბატონ ციცინო ახობაძეს ყველა იმ უფლებამოსილებასთან ერთად დამატებით მიენიჭოს უფლება მასზედ, რომ ქ.თბილისის მერიაში და საჯარო რეესტრში წარადგინოს „ამხანაგობის“ მიერ შეკვეთილი და კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად და დასარეგისტრირებლად.

ამხანაგობის წერვები გაეცნენ რა წარმოდგენილ კრების დღის წესრიგს, გამოთქვეს ერთსულოვანი თანხმობა მასზედ, რომ „ამხანაგობის“ თავჯდომარეს ქალბატონ ციცინო ახობაძეს დამატებით მიეცეს უფლება წარადგინოს ქ.თბილისის მერიაში და საჯარო რეესტრში ზემოთ ხსენებული ადრე დამტკიცებული პროექტის კორექტირებული ვარიანტი შესათანხმებლად და დასარეგისტრირებლად.

დღის წესრიგში სხვა განსახილველი საკითხის არ არსებობის გამო, კრება დახურულად გამოცხადდა.

კრების თავჯდომარე: შოთა გვანცელაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141219415
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.11.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2395715
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	68605690505014

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თოთხმეტი წლის ექვს ნოემბერს მე, ნოტარიუს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა შოთა გვანცელაძემ, რომელმაც წარმოადგინა ამხანაგობა „ქავთარაძის ქუჩა №1-2007“-ის წევრთა კრების ოქმი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შოთა გვანცელაძემ (დაბადებული 24.05.1954წელს თბილისში, პირადი №01009004474 მცხოვრები: თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 1 ბ. 58) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე დოკუმენტზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლის თანახმად ორი ლარი, + 2 (ორი) ლარი აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ” საქ. კანონის 39-ე მუხლისა + ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა დღგ 18 % 0.36 ლარი.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია